სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/25

ქ. თბილისი 22 ივლისი 2020

სტუ-ის ინსტიტუტ „ტალღას“ ვაკანტურ სამეცნიერო თანამდებობაზე (მეცნიერი თანამშრომელი, ერთი საშტატო ერთეული) კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 30 ივნისის №01-05-04/89 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 22 ივლისის №01-06-02/07 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტალღას“ სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობები:

	თანამდებობა	**საშტატო ერთეული**	**დამატებითი მოთხოვნები**
		სამეცნიერო განყოფილება	
1	მეცნიერი თანამშრომელი	1	მეცნიერ-თანამშრომელმა უნდა იცოდეს: -სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით მიმდინარე სამუშაოების მიზნები და ამოცანები; - ინფორმაცია საქართველოსა და უცხოეთში ანალოგიური შინაარსის სამეცნიერო კვლევა-ძიებების შესახებ; - მიღებული ინფორმაციის, კვლევების, განზოგადებისა და დამუშავების ორგანიზების თანამედროვე მეთოდები.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**